ობოლი და მისი დედა

იყო ერთი ობოლი მარტვილი. რა მოიზარდა, დედას ჰკითხა:
– დედავ, ყოველს კაცს მამა უვის. მე რად არა მყავს?
დედამ უთხრა:
– შვილო, შენცა გყვანდა, მაგრა წყალმან დაარჩო.

შვილმან უთხრა:
– მას წყალზე ხიდი არ იდვა, მას ზედ გასულიყო?
დედამ უთხრა:
– იდვა, მაგრამ შორს იყო.
შვილმან უთხრა:
– ასრე შორს იყო, რომ აქამდის ევლო, ვერ მოუარდა?
დედას გაეცინა და ეგრე უთხრა:
– თუ მაგდენი გაესინჯა, არც კი დაირჩობოდა.

– ვს არაკი ამად მოგახსეხე: თუ აგრე სიტყვის მსინჯავი ხარ,
მოუწონებელს კაცს რად ეუბნები და აქამდის რად ვერ მოიგონე
ჩემი უბრობა?
აღაღო ლეონ თავისი ბრძნად მოუბარი პირი და ტკბილად მოლაპარაკე ენა, უთხრა ჯუმბერს:
– ძეო მეფისაო! მარტვილი ხარ, სიტყვის გზას ეძებ და მეტის ნდომით უფრო ჰკარგავ, როგორც იმ მეფეს დაეკარგა, რასაც
ეძებდა.
მეფემ ჰკითხა: როგორ ყოფილაო?

თქვა ლეონ არაკი: